

ბიზნესის ეფექტურად მართვა საკრედიტო ორგანიზაციებში

ლილი პეტრიაშვილი, კახაბერ კოტრიკაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

წარმოდგენილია ავტომატიზებულ რეჟიმში ორგანიზაციათა ფინანსური დაგეგმვისა და მართვის საკითხები „თიბისი“ ბანკის მაგალითზე. გამოიყენება საქმეთაწარმოების მენეჯმენტის მოდელი (Business Performance Management), მონაცემთა საცავი და ოპერატიული ანალიზის (OLAP) ინსტრუმენტი, რომელთა საფუძველზეც ორგანიზაციის ხელმძღვანელობას შესაძლებლობა აქვს ეფექტურად მართოს ბიზნეს-პროცესები და თავიდან აიცილოს მოსალოდნელი რისკები.

საკვანძო სიტყვები: საფინანსო ბანკი. ბიზნესის მართვა. მონაცემთა საცავი. OLAP.

1. შესავალი

საკრედიტო ორგანიზაციებში მართვის სხვადასხვა ტექნოლოგიათა ავტომატიზაცია ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. მრავალფილიალური ბანკის ფინანსური მართვა კომპლექსურად, საკმაოდ რთული პროცესია. სტატია შეეხება თიბისი ბანკში BPM (Business Performance Management), სისტემის გამოყენებით ფინანსური დაგეგმვის ავტომატიზაციას. განხილულია ბანკის ბიუჯეტის დაგეგმვა მასთან დაკავშირებულ ფილიალებთან ერთად.

საქართველოში თიბისი ბანკი წარმოადგენს ერთ-ერთ მსხვილ კომპანიას, რომელსაც აქვს კარგად განვითარებული და მრავალფეროვანი მომსახურების არხები. მას აქვს ორმოცამდის ფილიალი და ოცდადაათამდის სერვის ცენტრი. ბანკისა და მასთან დაკავშირებული ფილიალების საფინანსო განყოფილებების ფინანსური დაგეგმვა და კონტროლი საკმაოდ მნიშვნელოვანია.

ბანკში ფინანსური დაგეგმვის ამოცანა პირდაპირ კავშირშია ბიზნესის ეფექტურად მართვასთან BPM. ბიზნესის ეფექტურად მართვა მოიცავს შემდეგ ეტაპებს: ბიზნეს სტრატეგიის შემუშავება; ბიუჯეტის დაგეგმვა; სტრატეგიული მიზნების მონიტორინგი და კონტროლი, სადაც ბიუჯეტის გეგმიური მაჩვენებლების შედარება ხდება რეალურთან; ანალიზი და რეგულირება. ბანკის სტრატეგიისა და გეგმის კორექტირება მის რეალურ მდგომარეობასთან შედარებით.

სათაო საკრედიტო დაწესებულებები მოიცავენ ფილიალების ქსელს, საიდანაც თავს იყრის გაერთიანებული ფინანსური ინფორმაცია, ეს საშუალებას იძლევა შეფასდეს ბანკისა და მასთან დაკავშირებული ფილიალების მუშაობის შედეგები. მართვის ეფექტური მოდელის მისაღებად უნდა მოხდეს ბანკის ფინანსური მაჩვენებლების ფაქტობრივი შედეგების შედარება გეგმიურ მაჩვენებლებთან [1]. ბანკში დაგეგმვის პროცესში, ფაქტობრივი მაჩვენებლების განთავსება ხდებოდა Excel-ცხრილებში. მაჩვენებლების ასეთი სახით წარმოდგენა სათავო ოფისის ხელმძღვანელს ვერ უზრუნველყოფდა ერთდროულად მიეღო ინფორმაცია ყველა ფილიალის საგეგმო მაჩვენებლების შესახებ.

ახალი ტექნოლოგიის გამოყენებით ბანკის ხელმძღვანელს საშუალება ეძლევა დავევძოს ბიუჯეტი ფილიალებთან ერთად და კომპლექსურად აკონტროლოს შემოსავლების და გასავლების ოპერაციები. დაგეგმვის ხარისხის გაუმჯობესება საჭიროს ხდის ერთიანი, უფრო მეტად სრულყოფილი ბიუჯეტის შემოტანას, სადაც გაერთიანებული საფინანსო შედეგების მისაღებად გამოყენებულია ნომენკლატურული დაგეგმვის ტექნოლოგია და ერთმანეთთან ავტომატურად დაკავშირებული გასავლები და დაბანდებული კაპიტალი.

ფინანსური დაგეგმვის ეფექტურად მართვისათვის საჭიროა შემდეგი ამოცანების გადაჭრა: ბანკში ერთიანი საბიუჯეტო მოდელის შემუშავება და წარმოდგენილ ანგარიშთა მართვისათვის ერთიანი უნიფიცირებული საინფორმაციო ტექნოლოგიის გამოყენება.


2. ძირითადი ნაწილი

თიბისი ბანკში მიიღეს შემდეგი ნორმატიული დოკუმენტები: ფინანსური სტრუქტურის მდგომარეობა. ბანკისათვის შემუშავებული იქნა მატრიცული ფინანსური სტრუქტურა, სადაც ბიუჯეტი განიხილება ორ ჭრილში: ბანკის ფილიალები და ფილიალების საქმიანობა. ბანკის ბიუჯეტის მოდელი. აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილი იყო ბიუჯეტის აქტივები და პასივები, ფინანსური გეგმები და ეფექტულობის ძირითადი მაჩვენებლები. ბიუჯეტის დაგეგმვის რეგლამენტი. დოკუმენტის გთვალისწინებით ბიუჯეტის დაგეგვამ არ უნდა გადააჭარბოს რეალური მაჩვენებლების შეაბამისად მიღებულ გეგმიურ მაჩვენებლებს და ამავე დროს ბიუჯეტის შესრულების ვადები უნდა აღემატებოდეს მოთხოვნით გათვალისწინებულ დროს.

დაგეგმვის შემუშავებული მეთოდის განსაკუთრებულობა მდგომარეობს იმაში, რომ ბანკში გამოყენებულ იქნა მატრიცული ფინანსური სტრუქტურა. ერთის მხრივ წარმოდგენილი იყო ორგანიზაციული სტრუქტურა, სადაც ფილიალები განიხილებოდა, როგორც მთავარი ოფისის ცალკეული ბიზნეს ერთეულები და მეორე – ბიზნეს მიმართულება (საკრედიტო იურიდიული პირები, ოპერაციები ფასიანი ქაღალდებით, პლასტიკური ბარათები და ა.შ.) და საბანკო პროდუქტები (კრედიტები, VISA-ბარათები, ანაბრები, ინდივიდუალური სეიფები და ა.შ.) ყველაფერი ეს იძლეოდა მრავალგანზომილებიანი ბიუჯეტის წარმოდგენის საშუალებას.

მთელი საბანკო სისტემის ფინანსური მართვის ავტომატიზაციისათვის ბანკში გამოყენებული იქნა ბიუჯეტის ორი გეგმა: ბიუჯეტი აქტივ-პასივებით და ფინანსური გეგმა, რომელშიც იერარქიულად განსაზღვრულ დონეებზე იქნა წარმოდგენილი შემოსავალ გასავლის ოპერაციები, კაპიტალ დაბანდებები და ა.შ. ასეთი სახით წარმოდგენილი ბიუჯეტი საშუალებას აძლევდა ფილიალების ხელმძღვანელებს ესარგებლათ არა მხოლოდ მათ მიერ წარმოდგენილი, არამედ ყველა ქვეგანყოფილების საბიუჯეტო მუხლებით. ერთობლივი დაგეგმვის ტექნოლოგიის დანერგვამ შესაძლებელი გახადა მონაცემთა საცავების (DWH- Data Warehouse) ტექნოლოგიის გამოყენების საფუძველზე ბანკის სამართავად სათავო ოფისში მიეღოთ ერთიანი ინტეგრირებული სისტემა [2]. მონაცემთა საცავი ფლობს ინსტრუმენტს, რომელიც ხელს უწყობს

მრავალმომხმარებლურ on-line რეჟიმში მუშაობას. ნახაზზე წარმოდგენილია მრავალფილიალიანი ბანკის ავტომატიზებულ რეჟიმში მართვის სტრუქტურული სქემა (ნახ.1). ბოლო ეტაპზე OLAP-ინსტრუმენტის გამოყენებით ხდება ანალიზურ ანგარიშთა მომზადება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანგარიშები წარმოდგენილია Excel-ცხრილებით. სადაც განთავსებული იყო ბიუჯეტის აქტივ-პასივის, შემოსავალ-გასავლის ოპერაციების და საბანკო პროდუქტების მაჩვენებლები.



ნახ.1

OLAP - ინსტრუმენტი ამ ცხრილებზე დაყრდნობით და მონაცემთა ავტომატური კონსოლიდაციის საფუძველზე, ცენტრალური ფილიალის ხელმძღვანელს საშუალებას აძლევს სწორად დაგეგმოს და წინასწარ განსაზღვროს რისკის ფაქტორები.

ანალიზური ანგარიშები ფორმირდება OLAP - კუბში: ბიზნეს ერთეულებად, ბიზნეს მიმართულებად და მთელ ბანკად. ინტერაქტიული OLAP - ანგარიშის საშუალებით ხელმძღვანელები და ანალიტიკოსები დებულობენ ოპტიმალურ გეგმიურ ბიუჯეტს. ასევე საშუალება აქვთ ინფორმაცია წარმოადგინონ გრაფიკული სახით და ვიზუალურად გაანალიზონ ბანკის საფინანსო საქმიანობა.

3. დასკვნა

ერთიანი საბიუჯეტო მოდელი განაწილებული ბიზნეს ბანკის საფინანსო ოპერაციებს ხდის გამჭვირვალეს. ამავე დროს ხელს უწყობს არა მარტო მოგება-ზარალის გაანგარიშების ეფექტური მაჩვენებლების მიღების დაგეგმვას, არამედ შესაძლებელს ხდის საბანკო პროდუქტების გაყიდვის დაგეგმვასაც, რის საფუძველზეც გენერირდება საბანკო რესურსების გამოყენების შესაძლებლობები. ერთობლივი დაგეგმვის ტექნოლოგიის დანერგვა ბანკის სათავო ოფისის საგეგმო და ანალიზურ განყოფილებათა თანამშრომლებს საშუალებას აძლევს ისარგებლონ ერთიანი დაგეგმვის რეგლამენტით, ასევე ავტომატურ რეჟიმში მიიღონ ერთიანი სისტემა, სადაც შეეძლებათ ყველა ფილიალის გაერთიანებული საგეგმო მაჩვენებლების კონტროლი და ანალიზი.

ლიტერატურა

1. ვაჩნაძე რ., ნიკვაშვილი ზ. ბიზნესის ადმინისტრირების ექსპერტული რჩევები. ISM-თბილისი 2007.
2. სუგულაძე გ., პეტრიაშვილი ლ. მონაცემთა საცავების აგების ტექნოლოგია ინტერნეტული ბიზნესის სისტემებისათვის. სტუ, თბილისი, 2005.

EFFECTIVE MANAGEMENT OF BUSINESS IN THE CREDIT ORGANIZATIONS

Petriashvili Lili, Kotrikadze Kakhaber
Georgian Technical University

Summary

In clause on an example, TBC Bank financial planning and management of establishments in the automated mode is presented. It is applied BPM (Business Performance Management) model of efficient control by business therefore to the head of the organization is enabled, according to the received results, effectively to operate the business-object and to prevent expected risk.

ЭФФЕКТИВНОЕ УПРАВЛЕНИЕ БИЗНЕСОМ В КРЕДИТНЫХ ОРГАНИЗАЦИЯХ

Петриашвили Л., Котрикадзе К.
Грузинский технический университет

Резюме

На примере „Ти-Би-Си“ Банка представлены финансовое планирование и управление учреждений в автоматизированном режиме. Применена BPM (Business Performance Management) модель с целью эффективного управления бизнесом, в результате чего руководителю организации дается возможность с учетом полученных результатов эффективно управлять своим бизнес-объектом и предотвратить ожидаемые риски.